

დამკვეთებზეა სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის  
სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს მიერ 2021 წლის 02  
აპრილის სხდომის ოქმი N 13

სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო  
კონსერვატორიის

მცირე დარბაზის მომსახურებისა და გამოყენების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ( შემდგომში - „კონსერვატორია“) მცირე დარბაზი არის კონსერვატორიის განუყოფელი სტრუქტურული ერთეული.
2. მცირე დარბაზი თავის საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კონსერვატორიის სამართლებრივი აქტებით, მცირე დარბაზის დებულებითა და წინამდებარე წესით.
3. წინამდებარე წესი არეგულირებს მცირე დარბაზის მომსახურებისა და გამოყენებასთან დაკავშირებულ პროცედურებს.

მუხლი 2. მცირე დარბაზის მომსახურებისა და გამოყენების წესის მიზნები

წინამდებარე წესის მიზანია ხელი შეუწყოს მცირე დარბაზის ძირითადი საქმიანობის, როგორცაა ა) კონსერვატორიის სასწავლო პროცესის ფარგლებში სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის/კონცერტმამასტერების მცირე დარბაზის რესურსით სრულყოფილი უზრუნველყოფა; ბ) საკონცერტო-ფილარმონიული საქმიანობა; გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ნებადართული ეკონომიკური საქმიანობა, ეფექტურ განხორციელებას.

### მუხლი 3. სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის/კონცერტმაისტერების მიერ მცირე დარბაზის გამოყენება

1. მცირე დარბაზი სრულფასოვან მომსახურებას უწევს კონსერვატორიის სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმის ფარგლებში.
2. მცირე დარბაზში იმართება სახელმწიფო გამოცდები, მისაღები გამოცდები, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული გამოცდები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული კონცერტები, საპროექტო კონცერტები, საიუბილეო საღამოები, სოლო კონცერტები, კონკურსები, ფესტივალები, სიმპოზიუმები, ფორუმები და სხვა.
3. აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს მცირე დარბაზში სემესტრის განმავლობაში განახორციელოს 3 (სამი) კონცერტი, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მონაწილეობით.
4. წინამდებარე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული, თითოეული აკადემიური პერსონალის 3 (სამი) კონცერტიდან ერთის ვიდეო გადაღებას უსასყიდლოდ უზრუნველყოფს კონსერვატორია.
5. შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი, მის დაქვემდებარებაში მყოფი პირის/ების საშუალებით კოორდინირებას უწევს აკადემიური პერსონალის მიერ გამართულ ღონისძიებებსა და მათ ვიდეო გადაღებას, რათა შესრულებული იქნეს ამ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული პირობა.
6. სტუდენტური თვითმმართველობა უფლებამოსილია ისარგებლოს მცირე დარბაზით სტუდენტური პროექტების განხორციელებისათვის. ასეთი საჭიროების არსებობის შემთხვევაში სტუდენტური თვითმმართველობა წერილობით მიმართავს რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში რექტორი/ადმინისტრაციის ხელმძღვანელი წერილობით მიაწვდის ინფორმაციას მცირე დარბაზის მენეჯერს, რათა ამ უკანასკნელმა უზრუნველყოს სტუდენტური პროექტის მცირე დარბაზით უზრუნველყოფა.
7. აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად თითოეული ფაკულტეტის დეკანი გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების/კონცერტების შესახებ სრულ ინფორმაციას წარუდგენს მცირე დარბაზის მენეჯერს, რომელიც თავის მხრივ ახდენს დეკანების მიერ წარდგენილი გეგმების შეჯერებას და ადგენს ერთიან ცხრილს, რომელსაც წარუდგენს დეკანებს, რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელსა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.
8. სტუდენტს, რომელიც სარგებლობს გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამით უფლება აქვს ისარგებლოს მცირე დარბაზით, მისი შესრულების ვიდეო გადაღებას ერთჯერადად უსასყიდლოდ მოახდენს კონსერვატორია ან კონსერვატორიის მუსიკის ტექნოლოგიის მიმართულების სტუდენტები.
9. გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამისათვის მცირე დარბაზით სარგებლობის აუცილებლობის შესახებ ინფორმაციას მცირე დარბაზის მენეჯერს აწვდის კონსერვატორიის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი, თითოეული კონკრეტული შემთხვევისათვის ინდივიდუალურად. დარბაზის მენეჯერი

სტუდენტს უზრუნველყოფს მცირე დარბაზის მომსახურებით, დაგეგმილი ღონისძიებების გათვალისწინებით.

#### **მუხლი 4. ღონისძიებების აფიშების დამზადება**

1. მცირე დარბაზში დაგეგმილი კონცერტების/ღონისძიებების თაობაზე აფიშების დამზადებას ორგანიზებას უწევს მცირე დარბაზის მენეჯერი. აფიშები მზადდება მატერიალური და ელექტრონული ფორმით.
2. ელექტრონული ფორმით შემუშავებული აფიშა მცირე დარბაზის მენეჯერის მიერ ეგზავნება საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს ელექტრონული აფიშის კონსერვატორიის ოფიციალურ ვებგვერდსა და ფეისბუქ გვერდზე განთავსებას.
3. აფიშის მატერიალური სახით დაბეჭდვის საკითხს თითოეული ღონისძიების შემთხვევაში წყვეტს კონსერვატორიის რექტორი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
4. რექტორის ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით მატერიალური სახით აფიშის დამზადების მიზნით, მცირე დარბაზის მენეჯერი აფიშაში შესატან ინფორმაციას აწვდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ეს უკანასკნელი თავის მხრივ ახდენს აფიშის სპეციალურ ფორმის მიხედვით გაფორმებას და დაბეჭდვის მიზნით სტამბისათვის გაგზავნას.
5. აფიშების დაბეჭდვის ფინანსურ მხარდაჭერას ახდენს კონსერვატორია. თითოეული ღონისძიებისათვის ხდება 30 (ოცდაათი) ცალი აფიშის დამზადება.
6. მატერიალურად დაბეჭდილი აფიშები განთავსდება კონსერვატორიის შენობასა და ქალაქში სხვადასხვა ადგილას. აფიშის რამოდენიმე ეგზემპლარი გადაეცემა შემსრულებელს, თავისი შეხედულების მიხედვით ქალაქში სხვადასხვა ადგილას განთავსების მიზნით;

#### **მუხლი 5. მცირე დარბაზში განსახორციელებელი კონცერტების/ღონისძიებების ბილეთების რეალიზაცია**

1. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების კონცერტებზე დასწრება არის თავისუფალი და ნებისმიერ პირს შეუძლია დაესწროს უსასყიდლოდ.
2. მცირე დარბაზში გამართულ ფილარმონიულ ღონისძიებებზე დასწრება ხდება ბილეთების საშუალებით.
3. თითოეული ღონისძიებისათვის ბილეთების ფასს, აგრეთვე მათი გაყიდვის, გასაყიდი ბილეთების ოდენობისა და გაყიდვის სტრატეგიის შესახებ საკითხს წყვეტს მცირე დარბაზის მენეჯერი ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით;
4. ბილეთების რეალიზაციის მიზნით კონსერვატორია იყენებს ბილეთების ონლაინ/ოფლაინ რეჟიმში რეალიზების პლატფორმას, ასეთი მომსახურების განმახორციელებელ კომპანიასთან მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე.

აღნიშნული პლათფორმით ბილეთების რეალიზაციის საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას ახდენს მცირე დარბაზის მენეჯერი, რომელიც თითოეული ღონისძიების გამართვამდე 10 დღით ადრე უგზავნის კომპანიას გასამართი ღონისძიების შესახებ ინფორმაციას - აფიშას და გასაყიდი ბილეთების შესახებ ინფორმაციას.

5. ბილეთების რეალიზაცია ხდება შესაბამისი პლათფორმის საშუალებით, როგორც ელექტრონულად, ასევე კონსერვატორიის დიდ დარბაზში განთავსებული სალაროს მეშვეობით;
6. სალაროში ბილეთების გაყიდვის საკითხს წყვეტს მცირე დარბაზის მენეჯერი ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით. იგი განსაზღვრავს ღონისძიების გამართვამდე რამდენი დღით ადრე უნდა მოხდეს სალაროში ბილეთების რეალიზაცია, რა განრიგით უნდა იმუშაოს სალარომ, რომ უზრუნველყოფილი იყოს ბილეთების მაქსიმალური რეალიზაცია.

#### **მუხლი 6. მცირე დარბაზით მესამე პირებისათვის მომსახურების გაწევა**

1. მცირე დარბაზი უზრუნველყოფს მესამე პირებისათვის მომსახურების გაწევას.
2. მცირე დარბაზის მენეჯერი აწარმოებს მესამე პირებთან მოლაპარაკებას, ათანხმებს მომსახურების პირობებს. ამზადებს მომსახურების შესახებ ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტის პროექტებს და წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.
3. მცირე დარბაზის მენეჯერი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებას და მიღება-ჩაბარების აქტს წარუდგენს ბუღალტერიას, რომელიც თავის მხრივ ახდენს აღნიშნული დოკუმენტების შენახვასა და ხელშეკრულების საფუძველზე ანგარიშსწორების საკითხის კონტროლს.
4. მცირე დარბაზით მომსახურების ტარიფი განისაზღვრება ექსპერტის მიერ დადგენილი ოდენობით, რომელიც მტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ.
5. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დარბაზით მომსახურებისათვის დადგენილი ტარიფის ფასდაკლების საკითხს, კონსერვატორიის მისიისა და სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, უწყვეტი სამუსიკო განათლებისა და მუსიკის პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით, განიხილავს და წყვეტს აკადემიური საბჭო.

#### **მუხლი 7. მცირე დარბაზში გამართული ღონისძიებების აღრიცხვა**

1. მცირე დარბაზის მენეჯერი შეიმუშავებს შესაბამის ფორმას და ელექტრონულად აღრიცხავს მცირე დარბაზში შესრულებული/გამართული ყველა ტიპის ღონისძიების, მათ შორის მესამე პირებისათვის მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე დარბაზის გადაცემის შესახებ ინფორმაციას (კონცერტის დასახელება, შემსრულებელი, კონცერტის/ღონისძიების გამართვის თარიღი, მესამე პირების დასახელება, მომსახურების ტარიფი, ღონისძიების/მომსახურების დასრულების შესახებ ინფორმაცია).

2. მცირე დარბაზის მენეჯერი ვალდებულია წინამდებარე მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწოდოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

#### **მუხლი 8. მცირე დარბაზში განთავსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმება**

მცირე დარბაზის მენეჯერი ყოველი ღონისძიების გამართვის შემდეგ, ახდენს მცირე დარბაზში განთავსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმებას, ნივთების დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში მცირე დარბაზის მენეჯერი ვალდებულია დეტალური ინფორმაცია დაუყოვნებლივ წარუდგინოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

#### **მუხლი 9. მცირე დარბაზის მომსახურებისა და გამოყენების წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა**

წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა მტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და კონსერვატორიის წესდებით დადგენილი წესით.